“ნისტრუ” (კიშინიოვი) – “დინამო” (თბილისი) 1:0 (1:0).

კიშინიოვი. რესპუბლიკური სტადიონი. 20 აპრილი.

“ნისტრუ”: კურობჩკინი, ტეგლეცოვი, კარასი (ბელი, ტურიანსკი), რიბაკი, შჩერბეი, დუბროვინი, ხლოპოტნოვი, მაციურა, ბატიჩი, დუბროვნი, მარქარიანი.

“დინამო”: აბუსერიძე, ჟიბა, ჩივაძე, პაიკიძე (კოპალეიშვილი), მუჯირი, ჯოხაძე, სვანაძე, სულაქველიძე, ჩქარეული, კაკილაშვილი (ცაავა), შენგელია.

მსაჯი: ი. დუდკო (ლვოვი).

დუბლიორები – 0:1. დინამოელთაგან ბურთი გაიტანა ჟორჟიკაშვილმა.

პირველი ათიოდე წუთის თანაბარი ბრძოლის შემდეგ ინიციატივას დაეუფლნენ დინამოელები, რომლებიც ხშირად იწყებდნენ შეტევას შუა მინდორში, მაგრამ მეტოქის საჯარიმო მოედანზე ვერ პოულობდნენ მწვავე გაგრძელებას და თუ სვანაძისა და შენგელიას მიერ შორიდან დარტყმულ სახიფათო ბურთებს არ მივიღებთ მხედველობაში (ორივე შემთხვევაში კარგად ითამაშა მეკარე კურობჩკინმა), “ნისტრუს” მცველები ასწრებდნენ ხიფათის უვნებელყოფას.

თითქმის მთელი ტაიმი თბილისელების უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ კიშინიოველთა ერთ–ერთი კონტრშეტევისას, 38–ე წუთზე ხლოპოტნოვმა ისარგებლა იმით, რომ დინამოელთა მცველებმა ვერ მოასწრეს “თამაშგარე მდგომარეობის” შექმნა, შეუფერხებლად გავიდა მათ კართან და ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში.

შესვენების შემდეგ “ნისტრუმ” გაათანაბრა თამაში და ახლა სტუმრების კართან შეიქმნა რამდენიმე სახიფათო მომენტი.

მატჩის ბოლო პერიოდში დინამოელები განუწყვეტლივ უტევდნენ, მაგრამ ვერ შეძლეს საპასუხო გოლის გატანა და გამარჯვება მასპინძლებს დაუთმეს.

“ლელო”, 4 მაისი, 1983 წ.